



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080178524326219

№ 2297

14 / მაისი / 2019 წ.

შპს „ჯეოფლაგის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „კასპის კეთილმოწყობა“;

ტენდერის ნომერი: NAT190003337;

შესყიდვის ობიექტი: 18800000 – ფეხსაცმელი;

მიმწოდებელი: შპს „ჯეოფლაგი“ (ს/ნ: 402042945);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 2 და 5 აპრილს წარმოდგენილ იქნა ააიპ „კასპის კეთილმოწყობის“ 2019 წლის 2 აპრილის №18 წერილობითი და 5 აპრილის №23 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის №3622 და №3798), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ჯეოფლაგის“ (ს/ნ: 402042945) მიერ NAT190003337 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 7 მარტის №31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „ჯეოფლაგს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის geoflag@mail.ru მეშვეობით, 2019 წლის 8 აპრილის №1427 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 17 აპრილს შპს „ჯეოფლაგმა“ წარმოადგინა 2019 წლის 16 აპრილის №19/044 განმარტება (რეგისტრაციის №4238) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2019 წლის 7 მარტის №31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მისთვის უნდა მიეწოდებინა სპეციალური ფეხსაცმელი. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 7 268 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 3 თებერვალი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ააიპ „კასპის კეთილმოწყობამ“ 2019 წლის 2 აპრილის №41 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 7 მარტის №31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, მან შემსყიდველ ორგანიზაციას ნიმუშის სახით წარუდგინა „SEDES AYAKKABI“-ის მიერ წარმოებული სამუშაო ფეხსაცმელი, ასევე „KINETIKS“-ის მიერ წარმოებული მაღალყელიანი ფეხსაცმლის ღია ყავისფერი ნიმუში. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ მან შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა იმავე მწარმოებლის მიერ წარმოებული იგივე ნაწარმი. ამასთან, ნიმუშისგან განსხვავებით, მაღალყელიანი ფეხსაცმელი იყო უდაბნოს ფერის, ვინაიდან, მწარმოებლის განმარტებით, ზაფხულის სეზონის დადგომის გამო, შეჩერებული იყო მისი წარმოება. გარდა ამისა, სამუშაო ფეხსაცმელს, ნიმუშისგან განსხვავებით, ძირზე არ ჰქონდა დამატებითი ჩანართი. მიმწოდებლის განმარტებით, მან შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა სამუშაო ფეხსაცმლის შეცვლა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 14 თებერვალს ააიპ „კასპის კეთილმოწყობამ“ გამოაცხადა NAT190003337 ელექტრონული ტენდერი ფეხსაცმლის (CPV18800000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის №3 სხდომის ოქმით შპს „ჯეოფლაგი“ (ს/ნ: 402042945) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 7 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა №31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა სპეციალური ფეხსაცმელი. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 7 268 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 3 თებერვალი.

4.4. ინსპექტირების ჯგუფის 2019 წლის 2 აპრილის მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ნიმუშს, იყო უხარისხო და არ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.5. 2019 წლის 2 აპრილის №17 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ ინსპექტირების ჯგუფის 2019 წლის 2 აპრილის მოხსენებით ბარათში მოხსენიებული გარემოებების გამო, მიმწოდებელს უარი განუცხადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ააიპ „კასპის კეთილმოწყობამ“ 2019 წლის 2 აპრილის № 41 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 7 მარტის №31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ჯეოფლაგი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავედროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებელი ადასტურებს მიწოდებული საქონლის შესაბამისობას წარდგენილ ნიმუშთან. რაც შეეხება მიმწოდებლის განმარტებას მწარმოებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ ხსენებული ვითარება

მიეკუთვნება მიმწოდებლის კომერციულ რისკს და არ წარმოადგენს ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან განმათავისუფლებელ გარემოებას.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 7 მარტის № 31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მიიღო ვალდებულებების ხარვეზიანი შესრულება. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ჯეოფლაგი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ჯეოფლაგი“ (ს/ნ: 402042945) 2019 წლის 15 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



კახი დემეტრაშვილი